## ურთიერთგაგების მემორანდუმი CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის დაფუძნების შესახებ

აღნიშნული მემორანდუმი წარმოადგენს მხარეთა კეთილი ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენელთა შეთანხმებას საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის (CSR-ის) დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის დაფუძნებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, ქვეყანაში CSR-ის ხელშემწყობი პოლიტიკის და პრაქტიკის მხარდაჭერის მიზნით.

მემორანდუმის მიზანია ხელისმომწერ მხარეთა თანამშრომლობის ფორმალიზება და ამ თანამშრომლობის ფორმატისა და ძირითადი პრინციპების განსაზღვრა.

CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი არის იდეაზე დაფუძნებული, დამოუკიდებელი, ნებაყოფლობითი ინიციატივა, რომელიც აერთიანებს მრავალ დაინტერესებულ მხარეს და ქმნის სხვადასხვა სექტორის დიალოგისა და თანამშრომლობის პლატფორმას კორპორაციული პასუხისმგებლობის და მდგრადი განვითარების საკითხებზე.

ხელისმომწერი მხარეები აცნობიერებენ:

- სოციალური სოლიდარობის მნიშვნელობას
- კერძო სექტორის ჩართულობის აუცილებლობას მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნათა შესასრულებლად
- კორპორაციული სოციალური პასუხის-მგებლობის განვითარების მიზნით დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომ-ლობის და ჩართულობის აუცილებლობას
- კორპორაციული სოციალური პასუხის-მგებლობისა და მდგრადობის მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების მნიშვნელობას
- პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის დანერგვის მნიშვნელობას ეკონომიკის

## Memorandum of Understanding on Establishment of the CSR Stakeholders Forum

The following memorandum represents a collective statement from representatives of the private, civil, and public sectors, based on goodwill and voluntary agreement, on the establishment and cooperation of CSR Stakeholders Forum in order to support policies and practices that advance corporate social responsibility and sustainable development in Georgia.

The objective of this memorandum is to formalize cooperation of the signatory parties and define the format and primary principles of said cooperation.

CRS Stakeholders Forum is a vision-driven, independent, voluntary initiative that brings together numerous stakeholders and creates a platform for dialogue and cooperation between various sectors to advance issues of corporate responsibility and sustainable development.

The signatory parties are aware of:

- The importance of social solidarity
- The necessity of private sector participation to reach Sustainable Development Goals and meet requirements for the European Union Association Agreement
- The importance of cooperation and engagement between stakeholders to advance issues of Corporate Social Responsibility and Sustainability (CSR)
- The importance of developing and implementing national policy that supports CSR
- The importance of implementing responsible business practices in order to

მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისთვის, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ეფექტური მოგვარებისათვის.

და CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმში გაწევრიანებით გამოხატავენ კეთილ ნებას ითანამშრომლონ, რათა ხელი შეუწყონ:

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის მხარდამჭერი პოლიტიკური და ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბებას
- პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას
- საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის კონცეფციის ცნობადობის გაზრდას.

ფორუმის შემადგენლობა, საქმიანობის ფორმატი, მიზნები და ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია დამფუძნებელ ქარტიაში.

advance sustainable and inclusive economic development, as well as effective management of environmental and social issues

and by participating in the Forum are expressing goodwill to collaborate in order to facilitate:

- Establishment of political and institutional environment that supports corporate social responsibility and sustainability
- Implementation of international standards for CSR/responsible business conduct
- Raising awareness of the concept of corporate social responsibility and sustainability in Georgia

The Forum’s composition, activity format, goals, and primary principles are determined by the Founding Charter.